

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე  
ირაკლი კობახიძეს  
ამავე კომისიის წევრის,  
“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს”  
აღმასრულებელი დირექტორის  
ეკა გიგაურის  
წინადადებები და მოსაზრებები კონსტიტუციაში  
ცვლილებების შეგანასთან დაკავშირებით

## ცვლილება კონსტიტუციის პრეამბულაში

**კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაიწეროს, საქართველოს საგარეო ევროპული და ევროატლანტიკური კურსი.**

განმარტება:

ქვეყნის განვითარების სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მომავლისკენ მისწრაფება კონსტიტუციითაც იყოს გაცხადებული. საგარეო პოლიტიკური კურსი, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ალიანსებში შესვლის პირობები და გადაწყვეტილებები რამდენიმე სახელმწიფოში რეგულირდება კონსტიტუციით. მაგ. ლიგვის 1992 წლის კონსტიტუციის 150-ე მუხლით ლიგვას ეკრძალება პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი სტრუქტურების წევრობა. მაგალითისთვის, ისეთის, როგორცაა დსთ.

იუგოსლავური ნაციონალიზმის თავიდან აცილება და ეროვნული თვითმყოფლობის მიზნით ხორვაგებმა, კონსტიტუციის 142-ე მუხლში ჩაწერეს, რომ ხორვაგია არ გახდება ისეთი ალიანსის თუ ასოციაციის წევრი, რომელიც სამხრეთ სლავური სახელმწიფოების ან ბალკანური სახელმწიფოების თანამეგობრობის განახლებას ისახავს მიზნად.

## საკონსტიტუციო ცვლილებები საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მიზნით

1. სახელმწიფოს ფინანსების და ბიუჯეტის კონტროლის მიზნით საპარლამენტო მუდამხედველობის გაძლიერება

ცვლილება შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლში, რომლის თანახმადაც მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი, მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეგანა. მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გალება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

მიზანშეწონილია გაიზარდოს პარლამენტის როლის და მნიშვნელობის გაზრდა ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში. პარლამენტს უნდა შეეძლოს მთავრობის თანხმობის გარეშე შეიგანოს ცვლილება ბიუჯეტის პროექტში.

აღნიშნული რეკომენდაცია ასევე მითითებულია „საკონსტიტუციო კანონპროექტის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების შეგანასთან დაკავშირებით დამტკიცებული ვენეციის კომისიის დასკვნაში (ვენეცია, 15-16 ოქტომბერი, 2010)

## 2. საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიების შექმნაში ოპოზიციის როლის გაზრდით საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება

ცვლილება შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია საგამოძიებო და სხვა კომისიების შექმნის წესი. გაიზარდოს ოპოზიციის როლი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც შესაბამისად გააძლიერებს საპარლამენტო კონტროლს. **გადაწყვეტილების მიღება არ უნდა იყოს დამოკიდებული უმრავლესობის ნებაზე.**

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესუთედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით.

### განმარტება:

დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში ოპოზიციის როლი განმსაზღვრელია, რაზეც მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რომლის თანახმად, დროებით კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოპოზიციის როლის გაზრდა საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების შექმნის პროცესში. რეგლამენტის თანახმად, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. შესაბამისად, უმრავლესობის ნების გარეშე დროებითი საგამოძიებო კომისია ვერ შექმნება. მე-8 მოწვევის პარლამენტში 14 მოთხოვნა იყო დარეგისტრირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით და მხოლოდ ერთი შეიქმნა.

საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობაში ოპოზიციის როლის გაზრდაზე ასევე მითითებულია „საკონსტიტუციო კანონპროექტის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების შეგანასთან დაკავშირებით დამტკიცებული ვენეციის კომისიის დასკვნაში (ვენეცია, 15-16 ოქტომბერი, 2010): „მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ „გადაწყვეტილება“ უმრავლესობისთვის პროცესში თვითნებობის უფლების მინიჭებას, რადგან ეს ძირს გამოუთხრის ოპოზიციის უფლებებს. სხვა შემთხვევაში, ტექსტის ცვლილება იქნებოდა კონტრპროდუქტიული იმ მიზნისა, რაც არის პარლამენტში ოპოზიციის სტატუსის გაძლიერება. პარლამენტის რეგლამენტი არ უნდა იყოს იმგვარი, რომ გაართულოს საპარლამენტო კომისიის შექმნა, მაშინ, როდესაც შესაბამისი გადაწყვეტილება არის მიღებული პარლამენტართა მესუთედის მიერ.“.

## 3. პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვის საკონსტიტუციო რეგულირება

ცვლილება შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლში, რომელიც ეხება საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმს პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვას.

შეკითხვის დასმის უფლება საპარლამენტო ფრაქციასთან ერთად ჰქონდეს პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს (ნაცვლად 10 წევრისა). ასევე დადგინდეს რა ხდება იმ შემთხვევაში თუ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დაისვა მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი თუმცა პრემიერ მინისტრმა არ გაათავისუფლა მთავრობის წევრი დაკავებული თანამდებობიდან. თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში მან პარლამენტს უნდა წარუდგინოს თავისი მოტივირებული გადაწყვეტილება. (აღნიშნული წესი მოქმედებდა საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებებამდე)

განმარტება:

პარლამენტის წევრის შეკითხვა და მის საფუძველზე მთავრობის წევრთა ვალდებულება უპასუხონ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე საპარლამენტო ზედამხედველობის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც საქართველოში არაეფექტურად გამოიყენება. მაგ. მერვე მოწვევის პარლამენტში არც ერთხელ არ ჩაგარებულა სამთავრობო საათი. მნიშვნელოვანია გაიზარდოს მთავრობის წევრთა ანგარიშვალდებულების საკონსტიტუციო გარანტიები. შეკითხვის დასმის უფლება მიენიჭოს პარლამენტს წევრთა ექვსკაციან ჯგუფს, რათა პარლამენტის დამოუკიდებელი წევრები არ აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში ფრაქციებში გაერთიანებულ პარლამენტის წევრებთან. ასევე მნიშვნელოვანია პრემიერ მინისტრის ანგარიშვალდებულების გაზრდა. თუ იგი არ ეთანხმება პარლამენტის უმრავლესობის მოსაზრებას, თავისი მოტივირებული გადაწყვეტილება აცნობოს პარლამენტს.

**საკონსტიტუციო ცვლილებები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით:**

კონსტიტუციაში მიზანშეწონილია განისაზღვროს სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც უნდა დაეყრდნოს უსაფრთხოების სტრატეგია და მის შემუშავებაში ჩართული ორგანოები ( აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტი და პრეზიდენტი).

**ცვლილებები პროკურატურის დამოუკიდებლობის საკონსტიტუციო გარანტიები გაზრდის მიზნით (თავი მეოთხე<sup>1</sup>. საქართველოს მთავრობა)**

- უნდა გაუქმდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. პროკურატურა უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ორგანოდ, რომლის ხელმძღვანელს აირჩევს საქართველოს პარლამენტი. (

81<sup>4</sup>- )

**ცვლილებები სასამართლოს დამოუკიდებლობის საკონსტიტუციო გარანტიების გაზრდის მიზნით**

**(თავი მეხუთე  
სასამართლო ხელისუფლება)**

**მუხლი 84**

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი განისაზღვრება ორგანული კანონით.

2<sup>1</sup>. მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების გზით. გადაწყვეტილება მოსამართლის ვადამდე გათავისუფლების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს საქმის სრულყოფილ და ობიექტურ გამოკვლევას.<sup>1</sup>

2<sup>2</sup>. მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა არ შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინური გადაცდომად და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა დამაჯერებლად მგკიცდება, რომ კანონის არასწორ განმარტებას საფუძვლად უდევს მოსამართლის არაობიექტურობა, ადამიანის უფლებების და თანასწორობის მიმართ აშკარა უპატივცემლობა, ან ნებისმიერი სხვა ისეთი მოტივი, რომელიც არ არის დაკავშირებული მოსამართლის უფლებამოსილების კეთილსინდისიერ განხორციელებასთან.

2<sup>3</sup>. მოსამართლის სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მისი თანხმობის ან შესაბამისი სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში. გამონაკლის შემთხვევებში თუ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესების სათანადოდ უზრუნველსაყოფად, მოსამართლის მივლინება მისი თანხმობის გარეშე, შეიძლება განხორციელდეს 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ერთი წლის ვადით.

6. სასამართლოს სახელმწიფო დაფინანსება სრულყოფილად უნდა უზრუნველყოფდეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლად და სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას. სასამართლო ხელისუფლებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის შემცირება წინა წლის შესაბამის ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში - უზენაესი სასამართლოს პლენუმის, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის, წინასწარი თანხმობით.

---

<sup>1</sup> CDL-AD(2005)003 par.105 : The Article provides that the selection, appointment and dismissal of judges is to be determined by law. Again, guarantees for nonremovability ought to be provided for in the Constitution. At the least, the Constitutional provisions should determine the minimum conditions under which a judge can be dismissed or suspended. The law also provides for disciplinary liability for judges, suspension from case hearing, removal from the post before the term or transfer to another office according to law. Again, it appears undesirable that ordinary law can provide for such matters without any Constitutional guidance.

**განმარტება:** მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის (მივლინების) ინსტიტუტი წლების განმავლობაში წარმოადგენდა მოსამართლეებზე გეწოლის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს, რაც ცხადია ხელყოფდა სასამართლოს დამოუკიდებლობას და შესაბამისად ეჭვქვეშ აყენებდა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას ქვეყანაში. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა მივლინების ინსტიტუტის გამოყენების ძირითადი პრინციპები ღარეგულირებულ იქნას კონსტიტუციის ღონებზე, რათა მომავალში საკანონმდებლო ღონებზე გამოირიცხოს მისი არაკეთილსინდისერად გამოყენების საფრთხე.

კიდეე ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა და ღლესაც წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონის განმარტებისთვის მოსამართლეთათვის ღისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხი. აღნიშნული ხშირად ხდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. ჯერ კიდეე 2007 წელს ვენეციის კომისიამ [განაცხადა](#), რომ ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რადგანაც გადამეტებულად იჭრებოდა მოსამართლეების თავისუფლებაში, შინაგანი რწმენის საფუძველზე მოეხდინათ კანონის განმარტება. შემდგომში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ამ კუთხით პრობლემები, როგორც კანონმდებლობაში ასევე პრაქტიკაში ღლესაც [არსებობს](#). შესაბამისად, სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია, ამ პრინციპის კონსტიტუციის ღონებზე ასახვა.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სასამართლოს ფინანსური დამოუკიდებლობა. მნიშვნელოვანია კონსტიტუციით იმის რეგლამენტირება, რომ ხელისუფლების სხვა შტოები სასამართლოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე, ვერ შეძლებენ სასამართლოს ბიუჯეტის შემცირებას.

## **მუხლი 86**

2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვალოდ, კანონით დაღგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლეთა შერჩევის, ღანიშვნის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. 2<sup>1</sup>. მოსამართლეთა შერჩევა ხდება ორგანული კანონით განსაზღვრული ღია კონკურსის ჩაგარების გზით. გადაწყვეტილება კონკურსის შედეგად მოსამართლის ღანიშვნის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს კანდიღატა შეფასების ობიექტურ და მიუკერძოებულ პროცესს.<sup>2</sup>

**განმარტება:** ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, მოსამართლეების გამოსაცდელი ვადის ღანიშვნა მათი დამოუკიდებლობისთვის ძირგამომთხრელია, რადგან მათზე შესაძლოა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გეწოლა განხორციელდეს. კომისია მიიჩნევა, რომ გამოსაცდელი ვადით ღანიშვნა ამოღებულ უნდა ყოფილიყო, როგორც კანონპროექტიღან, ასევე კონსტიტუციიღან.

---

<sup>2</sup> **CDL-AD(2006)040, par 11** `What would be required is to clearly provide in the Constitution the composition and powers of the Council of Justice and to enshrine in its text rules on the appointment and dismissal of judges safeguarding their independence"; **CDL-AD(2005)003, par.102,105**

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თავის განცხადებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ მართალია, მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი მიზანი - უზრუნველყოს მოსამართლეთა კორპუსის სათანადო კვალიფიკაციითა და ეთიკური პრინციპების ერთგული კადრებით დაკომპლექტება, მიუხედავად ამისა, გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის, რომელთა იგნორირება გაუმართლებელი იქნებოდა. საქართველოში არსებული კონსტიტუციის გათვალისწინებით კი, ეს რისკები კიდევ უფრო სერიოზულია, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პატივისცემის მყარი და მრავალწლოვანი ტრადიცია. ამიტომ, უპრიანია სახელმწიფომ, სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობითა და ჩართულობით, უზრუნველყოს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მინიმალურ რისკს შეუქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას და ამავე დროს - მიაღწევს იმ მაღალ მიზანს, რომელიც მართლმსაჯულების სამართლიანობასა და ეფექტიანობაში მდგომარეობს.

## მუხლი 86<sup>1</sup>

1. სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, სასამართლო სისტემის აღმინისკრირების, სასამართლო რეფორმის გასაგარებლად წინადადებების შემუშავებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს 8 წევრს ორგანული კანონით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, რომელთა მათაგან ერთი წევრი მაინც უნდა იყოს პარლამენტის სრული შემადგენლობის  $\frac{2}{3}$ -იანი უმრავლესობით არჩეული, ხოლო 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრების დანიშვნა ხდება ორგანული კანონით განსაზღვრული ღია კონკურსის საფუძველზე.
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებები და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

## მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა,

დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება.

**განმარტება:** რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე იმუნიტეტის მოხსნის უფლებამოსილების ერთპიროვნულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის მინიჭება ქმნის გედმეგ იერარქიას სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს შორის, რაც თავიდან უნდა იქნას აცილებული. აქედან გამომდინარე, გონივრულია რაიონული(საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე იმუნიტეტის მოხსნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდეს ისეთი წარმომადგელობითი და ინსტიტუციურად დამოუკიდებელ ორგანო, როგორცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ხელისუფლების სხვა შტოების მხრიდან მოსამართლეებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციის ღონებზე აიკრძალოს მოსამართლეების მიმართ ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებები განხორციელება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების არსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში გონივრულია ნებართვას გასცემდეს ერთპიროვნულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და არა 15 წევრიანი კოლეგიალური ორგანო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

## **მუხლი 88**

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

**განმარტება:** მართალია მოქმედი კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი არ წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესის იდეა თავის თავში გულისხმობდა ხელისუფლების სამივე შტოს თანაბარ მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოსთვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭება წარმოაჩენს მას როგორც საერთო სასამართლოების სისტემის წარმომადგენლობით ორგანოს, რაც არ შეესაბამება მის ფუნქციურ დანიშნულებას. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლო ხელისუფლების სახელით მოსამართლეების დანიშვნას უნდა ახორციელებდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც მოსამართლეთა წარმომადგენლობითი ორგანოა.

გონივრულია დაკონკრეტდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისთვის იმუნიტეტის მოხსნის უფლებამოსილებ აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

## **მუხლი 89**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების და საერთო სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

## **განმარტება:**

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაავადოს გადაწყვეტილების აღსრულების დრო, ამისგან განსხვავებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება, გარკვეულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მექანიზმია კონკრეტული პირების კონსტიტუციური უფლებების დასაცავად, შესაბამისად გონივრული ამ მექანიზმს კონსტიტუციის ღონებუც ჰქონდეს ლეგიტიმაცია.

## **მუხლი 90**

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი 10 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პლენუმს პარლამენტს. თუ იგი პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო შედგება არანაკლებ 16 მოსამართლისა. საჭიროების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს პლენუმი იღებს გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს წევრთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს პლენუმი უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, რათა მან საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წევრთა კანდიდატურები უზენაესი სასამართლოს წევრთა გაზრდილი რაოდენობის შესაბამისად.

### **ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებებისათვის საკონსტიტუციო გარანტიების მინიჭება**

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავს საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი დაემატოს მუხლი, რომელიც შეეხება ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს:

**სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სამოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. ეკონომიკური უფლებების და თავისუფლებების გარანტიები განისაზღვრება ორგანული კანონით.**

**ცვლილებები საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით**

## საქართველოს კონსტიტუციური კანონი

### საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეგანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) შეგანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 49-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, ერთიანი პროპორციული სისტემით არჩეული 75 და სამხარეო პროპორციული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისაგან.“.

2. 50-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერაც დადასტურებულია ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშნვის დროისათვის. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი. სამხარეო პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის წესი და პირობები განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.“.

2. ერთიანი პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც. იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების შემდეგ დააგროვებენ იმაზე ნაკლები რაოდენობის მანდატებს, ვიდრე საჭიროა საპარლამენტო ფრაქციის შექმნისათვის, მანდატები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეეკრებათ ფრაქციის შექმნისათვის საჭირო მინიმალურ რაოდენობამდე. სამხარეო პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება იმ პარტიას/ბლოკს, რომელმაც ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღო მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% ან მეტი. მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეგანის შესახებ“  
საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზმი:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან. საარჩევნო სისტემა ითვალისწინებს, როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებას. მაჟორიტარი პარლამენტის წევრები აირჩევიან მაჟორიტარული ოლქების შესაბამისად. არაერთხელ თქმულა მაჟორიტარული სისტემის ნაკლოვანებებზე, მის უარყოფით მხარეებზე. მაჟორიტარული სისტემის არსებობა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გარემოს სრულფასოვან ასახვას არჩევნების რეალურ შედეგებზე. ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ საარჩევნო გარემოს შექმნას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომლის არჩევაც ხდება ამომრჩევლის მიერ პირდაპირი წესით, 4 წლის ვადით. პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს შეიცვალოს საქართველოში არსებული საარჩევნო სისტემა და ნაცვლად პროპორციული და მაჟორიტარული სისტემისა შემოღებულ იქნას ერთიანი პროპორციული და სამხარეთო პროპორციული სისტემები. 75 პარლამენტის წევრი არჩეულ იქნას ერთიანი პროპორციული სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 - სამხარეთო პროპორციული სისტემის საფუძველზე, რითაც წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტება დამოკიდებული იქნება რეალურ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებაზე. მოხდება პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს, უფო მაღალი ლეგიტიმაცია. ამავე დროს, აღნიშნული საარჩევნო სისტემის მიმართ გაძლიერდება ამომრჩევლის ნდობაც.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითად არსს წარმოადგენს ახალი საარჩევნო სისტემის შემოღება, რომელიც ჩაანაცვლებს მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას და შემოღებული იქნება სამხარეთო პროპორციული საარჩევნო სისტემა. აღნიშნულმა განაპირობა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველ პუნქტში და 50-ე პირველ და მეორე პუნქტებში ცვლილების შეტანაც. წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად საქართველოს პარლამენტი დაკომპლექტდება ერთიანი პროპორციული სისტემით არჩეული 75 და სამხარეთო პროპორციული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისაგან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯის ნაწილზე:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.